№2256 2015 წლის 22 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის სარგებლობაში არსებული ქონების იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტს, (შემდგომში – ინსტიტუტი) მდგრადი განვითარების მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლით ვადით, იჯარის უფლებით გადასცეს:

ა) შპს „ელიავას ბაქტერიოლოგიური არეების წარმოებას“ (ს/კ: 205293476) ქალაქ თბილისში, ლ. გოთუას №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.020) მდებარე ინსტიტუტის №21 შენობაში 328.25 კვ. მ ფართი, ყოველთვიური საიჯარო ქირით – 800 (რვაასი) ლარი;

ბ) შპს „ბაქტერიოფაგის ბიოპრეპარატებს“ (ს/კ: №205263604) ქალაქ თბილისში, ლ. გოთუას №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.020) მდებარე ინსტიტუტის №5 შენობაში 476.34 კვ. მ ფართი, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებასთან (აპარატურა/დანადგარები) ერთად, ყოველთვიური საიჯარო ქირით – 1400 (ათას ოთხასი) ლარი;

გ) შპს „ბაქტერიოფაგის ანალიტიკურ-სადიაგნოსტიკო ცენტრ დიაგნოზ 90-ს“ (ს/კ: №211352301) ქალაქ თბილისში, ლ. გოთუას №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.020) მდებარე ინსტიტუტის №14 და №35 შენობებში 253.54 კვ. მ ფართი, ყოველთვიური საიჯარო ქირით – 1500 (ათას ხუთასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**